

ტესტი გეოგრაფიაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის თითოეული დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტზე მუშაობისას გამოიყენეთ თანდართული რუკები.

გაითვალისწინეთ, თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 59.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!



➤ კითხვა არჩევითი პასუხებით - დავალება № 1-17

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

1. თუ 22 ივნისს ქ. თბილისის დროით 10.00 სთ-ია, მაშინ რომელ საათზე ნაჩვენები დრო შეესაბამება ქ. ლონდონისას?

ა)



ბ)



გ)



დ)



2. რომელ მწვერვალზეა მზის სხივის დაცემის კუთხის სიდიდე ყველაზე მეტი?


ა) აკონკაგუაზე;

ბ) კილიმანჯაროზე;

გ) ჯომოლუნგმაზე;

დ) ფუძიამაზე.

3. რა არის ასახული მოცემულ ილუსტრაციაზე?



- ა) რელიეფის ფორმირება;
- ბ) მდგრადი განვითარება;
- გ) ბიოტექნოლოგიური წარმოება;
- დ) ბუნებრივი აირის ფორმირება.

4. რომელი ტყე ხასიათდება მცენარეთა სახეობების სიმცირით?





ა) ტაიგა;

ბ) ჰემიჰილუა;

გ) სელვა;

დ) ჯუნგლი.

5. რომელ რუკაზეა ნაჩვენები გარდამავალი კლიმატური სარტყელი?




6. ჩამოთვლილთაგან რომელ კონტინენტზე არ გვხვდება ფოტოზე ნაჩვენები ბუნებრივი ზონა?



- ა) ევროპის;
- ბ) აფრიკის;
- გ) აზიის;
- დ) ჩრდ. ამერიკის.

7. რისი განაწილებაა ნაჩვენები რუკაზე?

იანვარი



- ა) ატმოსფერული წნევის;
- ბ) ჰაერის ტემპერატურის;
- გ) ატმოსფერული ნალექების;
- დ) მზის რადიაციის.

8. ეოლური ეროზია იგივეა, რაც:

- ა) წყლისმიერი ეროზია;
- ბ) ქარისმიერი ეროზია;
- გ) მყინვარული ეროზია;
- დ) დახრამვითი ეროზია.

9. რომელი თევზი არ ბინადრობს შავ ზღვაში?

ა) კალმახი;

ბ) კეფალი;

გ) ხონთქარა (ბარაბული);

დ) ქაფშია (ქამსა).

10. ტრანსპორტის რომელი სახეობაა დიდ ქალაქებში „სმოგის“ წარმოქმნის ძირითადი მიზეზი?

ა) საავტომობილო;

ბ) სარკინიგზო;

გ) საავიაციო;

დ) მილსადენი.


11. ქვეყნის მოსახლეობაში ქრისტიანული რელიგიის რომელი კონფესიის მიმდევართა ხვედრით წილს ასახავს რუკა?

ა) მართლმადიდებლების;

ბ) ლუთერანების;

გ) კათოლიკების;

დ) ბაპტისტების.



12. რა პროცესის შედეგი ჩანს სხვადასხვა წლებში გადაღებულ ქ. შანხაის სატელიტური ფოტოების შედარებისას?



- ა) რურალიზაციის;
- ბ) ურბანიზაციის;
- გ) დეპოპულაციის;
- დ) რეკულტივაციის.

13. ჩამოთვლილთაგან რომელ სახელმწიფოში იწარმოება ყველაზე მეტი რაოდენობით ღვინო?

ა) საბერძნეთში;

ბ) ჩინეთში;

გ) საქართველოში;

დ) საფრანგეთში.

14. რომელ ფოტოზეა გამოსახული ტექნოგენური კატასტროფის შედეგი?



15. ჩამოთვლილთაგან რომელი მიეკუთვნება KOF ინდექსის ეკონომიკური გლობალიზაციის კრიტერიუმს?

ა) საერთაშორისო საფოსტო გზავნილების მოცულობა;

ბ) სახელმწიფოში საელჩოების რაოდენობა;

გ) უცხოური ინვესტიციების მოცულობა;

დ) საერთაშორისო ხელშეკრულებების რაოდენობა.

16. რომელ სახელმწიფოსთან აღადგინა დიპლომატიური ურთიერთობა 2015 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა?

ა) კუბასთან;

ბ) ავღანეთთან;

გ) ჩრდილოეთ კორეასთან;


დ) სერბეთთან.

17. ცხრილიდან გამომდინარე რას ასახავს მოცემული წრეწიროვანი დიაგრამა?

სტაციონარულ წყაროებში წარმოქმნილი მავნე ნივთიერებების დაჭერა და ატმოსფეროში გაფრქვევა რეგიონების მიხედვით, 2016 წელი (ათასი ტონა)			
	წარმოქმნილი	დაჭერილი	გაფრქვეული
საქართველო	772.5	728.0	44.5
ქ. თბილისი	59.5	57.7	1.8
აჭარის არ	6.4	5.2	1.2
გურია	3.3	2.3	1.0
იმერეთი	72.0	56.3	15.3
კახეთი	5.5	2.7	2.8
მცხეთა-მთიანეთი	8.1	6.1	2.0
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	0.3	0.2	0.1
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2.2	1.0	1.2
სამცხე-ჯავახეთი	1.4	1.2	0.2
ქვემო ქართლი	337.6	326.4	11.3
შიდა ქართლი	276.6	268.9	7.7

წყარო: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

გადასვლა: [პასუხზე](#)



- ა) სტაციონალურ წყაროებში წარმოქმნილ მავნე ნივთიერებების წილს რეგიონების მიხედვით;
- ბ) რეგიონების წილს სტაციონალური წყაროებიდან ქვეყნის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაში;
- გ) რეგიონების წილს ავტოტრანსპორტით ქვეყნის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაში;
- დ) სტაციონალურ წყაროებში წარმოქმნილი მავნე ნივთიერებების დაჭერის წილს რეგიონების მიხედვით.

გადასვლა: [კითხვაზე](#)

➤ შესაბამისობის დადგენა - დავალება № 18-23









ინსტრუქცია

დაადგინეთ შესაბამისობა დავალებაში მოცემულ ორ ჩამონათვალს შორის. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში. თითოეულ ასოს ქვემოთ მიუწერეთ შესაბამისი ციფრი. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

18. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამოვრება არ არის შესაძლებელი):







	სახელმწიფო		დედაქალაქის გეოგრაფიული კოორდინატები
ა	აშშ	1	ს.გ. 00° 15' დ.გ. 78° 35'
ბ	კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა	2	ჩ.გ. 38° 54' დ.გ. 77° 02'
გ	იაპონია	3	ჩ.გ. 38° 43' დ.გ. 09° 10'
დ	ეკვადორი	4	ს.გ. 04° 19' ა.გ. 15° 19'
ე	პორტუგალია	5	ჩ.გ. 00° 23' ა.გ. 09° 27'
ვ	ირანი	6	ს.გ. 05° 15' დ.გ. 15° 35'
		7	ჩ.გ. 35° 41' ა.გ. 139° 46'
		8	ჩ.გ. 35° 42' ა.გ. 51° 25'

19. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება არ არის შესაძლებელი):

სრუტე / არხი					
ა	ბ	გ	დ	ე	ვ
ჰორმუზი	დარდანელი	სუეცი	ბაბ-ელ-მანდები	პანამა	გიბრალტარი
სატელიტური სურათი					
					
					

20. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება არ არის შესაძლებელი):

ველურ ბუნებაში გადაღებული ფოტოები

ა		ბ		გ	
დ		ე		ვ	







კონტინენტი

1	2	3	4	5	6	7
აზია	ანტარქტიდა	ევროპა	ავსტრალია	სამხ. ამერიკა	აფრიკა	ჩრდ. ამერიკა

21. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება არ არის შესაძლებელი):

	კონტინენტი		ყველაზე დაბალი ადგილი
ა	აზია	1	ეირის ტბა
ბ	აფრიკა	2	ასალის ტბა
გ	ჩრდილოეთი ამერიკა	3	ბენტლის დეპრესია
დ	სამხრეთი ამერიკა	4	ლაგუნა-დელ-კარბონი
ე	ავსტრალია	5	მკვდარი ზღვა
		6	სიკვდილის ველი

22. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია):

სქემა					
ა		ბ		გ	
დ		ე		ვ	
ქარი					
1	2	3	4		
ბრიზი	მუსონი	პასატი	ფიონი		

23. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება არ არის შესაძლებელი):


	ინფორმაცია		სახელმწიფო
ა	აშშ-ს შემდეგ NATO-ში ყველაზე მრავალრიცხოვანი არმია ჰყავს.	1	თურქეთი
ბ	NATO-ს წევრი ქვეყანა, რომელსაც რეგულარული ჯარი არ ჰყავს, გააჩნია მხოლოდ სანაპირო დაცვა.	2	კანადა
გ	მდებარეობს NATO-ს შტაბბინა.	3	ისლანდია
დ	ქვეყანა, რომელიც არ არის NATO-ს წევრი.	4	იაპონია
ე	NATO-ში გაერთიანებულ ქვეყნებს შორის, აშშ-ს შემდეგ, ყველაზე დიდი სამხედრო ბიუჯეტი აქვს.	5	გერმანია
ვ	ქვეყანა, რომელიც NATO-ს ერთ-ერთი დამფუძნებელია, დატოვა NATO-ს სამხედრო სტრუქტურების რიგები და ორიათასიან წლებში ისევ დაბრუნდა ალიანსის სრულუფლებიან წევრად.	6	ბელგია
		7	გაერთიანებული სამეფო
		8	საფრანგეთი

➤ ინფორმაციის ანალიზი - დავალება № 24-28

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით მოცემულ ინფორმაციას (ფოტო, ცხრილი, გრაფიკი და სხვ.) და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილზე. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

24. (2 ქ.) გაანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:



მწარმოებელი 10 უმსხვილესი სახელმწიფო (მეტრაჟი ტონებში)				
№	სახელმწიფო	2010	2012	2014
1	ჩინეთი	5 970 000	6 281 000	6 532 000
2	ინდოეთი	5 683 000	6 071 000	6 423 000
3	აშშ	3 941 700	3 412 550	3 553 000
4	პაკისტანი	1 869 000	2 312 000	2 308 000
5	ბრაზილია	973 449	1 673 337	1 524 103
6	უზბეკეთი	1 136 120	983 400	849 000
7	თურქეთი	816 705	754 600	697 000
8	ავსტრალია	386 800	473 497	501 000
9	თურქმენეთი	230 000	295 000	210 000
10	მექსიკა	225 000	195 000	198 000

წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია

(ა) (1ქ.) რომელი სასოფლო-სამეურნეო კულტურის წარმოებაზეა მოცემული ინფორმაცია?

(ბ) (1ქ.) რომელი ეკოლოგიური პრობლემის მიზეზი გახდა აღნიშნული სასოფლო-სამეურნეო კულტურის წარმოება შუა აზიაში?

25. (7 ქ.) გაანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

ქვემოთ მოცემულია საქართველოში მდებარე სამი ტბის ფოტო. პირველი ტბა ზღ. დ. 2800 მეტრზე მაღლა მდებარეობს, მეორე საქართველო-დაღესტნის საზღვარეზე ზღ.დ. დაახლოებით 1900 მეტრზეა, ხოლო მესამე დაახლოებით ზღვის დონეზე მდებარეობს.



1. აბუდელაურის თეთრი ტბა



2. შავი კლდის ტბა



3. პალიასტომის ტბა



(ა) (3 ქ.) რომელ ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციაში მდებარეობს თითოეული ტბა?

(ბ) (2 ქ.) წელიწადის რომელ დროს არის ყველაზე მაღალი პირველ ტბაში წყლის დონე და რა განაპირობებს ამ ფაქტს?

(გ) (1 ქ.) მოცემული ტბებიდან რომლებში არ ბინადრობენ თევზები?

(დ) (1 ქ.) წარმოშობის მიხედვით როგორი ტიპისაა მესამე ტბა?


26. (2 ქ.) გაანალიზეთ ილუსტრაციები და უპასუხეთ კითხვებს:



(ა) (1 ქ.) რა პროცესია ასახული ილუსტრაციებზე?

(ბ) (1 ქ.) დაასახელეთ გლობალური ეკოლოგიური ფაქტორი, რომელიც ილუსტრაციებზე ასახულ პროცესს განაპირობებს?


27. (3 ქ.) გაანალიზეთ რუკა და უპასუხეთ კითხვებს:



- (ა) (1 ქ.) რომელი დაცული ტერიტორიაა ნაჩვენები რუკაზე?
- (ბ) (1 ქ.) რომელი მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე ვრცელდება აღნიშნული დაცული ტერიტორია?
- (გ) (1 ქ.) რა იყო ამ დაცული ტერიტორიის შექმნის ძირითადი მიზანი?

28. (11 ქ.) გაანალიზეთ მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

ტურიზმის ინდუსტრია ერთ-ერთი ყველაზე მზარდი სფეროა დღევანდელ მსოფლიოში. ვითარდება როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ტურიზმი. ქვემოთ მოცემულია ტურიზმის ინდუსტრიასთან დაკავშირებული სხვადასხვა ინფორმაცია. ამ ინფორმაციიდან გამომდინარე ჩრდილოეთ ამერიკის, აზია-ოკეანეთის¹, ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის რეგიონებში ჯამურად 2005-2017 წ.წ. განმავლობაში საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობამ 62%-ით მოიმატა, ხოლო საშუალო წლიურმა ზრდამ 4.1 %-ი შეადგინა. ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკაში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი მშპ-ს თითქმის 10%-ს შეადგენს. საქართველოშიც საერთაშორისო ტურისტების რაოდენობის მზარდი ტენდენციაა. 2017 წლის მონაცემებით საქართველოს დაახლოებით 8 მლნ. საერთაშორისო ტურისტი ეწვია და მათ მიერ დახარჯულმა თანხამ 3 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ დაახლოებით იმავე რაოდენობის საერთაშორისო ტურისტმა ავსტრალიაში დაახლოებით 42 მილიარდი აშშ დოლარი დახარჯა.




¹ აზია-ოკეანეთის რეგიონში გაერთიანებულია აღმოსავლეთი, სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია და ავსტრალია-ოკეანეთი.


² Statista – The portal for statistics

[გადასვლა დავალების: მეორე გვერდზე; მესამე გვერდზე; მეოთხე გვერდზე; კითხვებზე](#)


ჩრდილოეთი ამერიკა (მლნ. კაცი)




აზია-ოკეანეთი (მლნ. კაცი)



ახლო აღმოსავლეთი (მლნ. კაცი)




ევროპა (მლნ. კაცი)




გადასვლა დავალების: [პირველ გვერდზე](#); [მესამე გვერდზე](#); [მეოთხე გვერდზე](#); [კითხვებზე](#)


ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის წილი ქვეყნის მშპ-ში (2016 წ.)



2017 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის მიხედვით უდიდესი ქვეყნები (მილიარდი აშშ დოლარი)



2017 წელს საერთაშორისო ვიზიტორების მხრივ 10 უდიდესი ქვეყანა (მილიონებში)



[გადასვლა დავალების: პირველ გვერდზე; მეორე გვერდზე; მეოთხე გვერდზე; კითხვებზე](#)

2017 წელს საერთაშორისო ვიზიტორების მხრივ ევროპის 10 უდიდესი ქალაქი³

#	ქალაქი	ვიზიტორთა რაოდენობა (მლნ. კაცი)
1	ლონდონი	19,83
2	პარიზი	17,44
3	სტამბოლი	10,70
4	ანტალია	9,42
5	მილანი	8,81
6	პალმა-დე-მალიორკა	8,78
7	ბარსელონა	8,69
8	რომი	7,17
9	ამსტერდამი	7,16
10	ვენეცია	7,0

2017 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის მიხედვით ევროპის 10 უდიდესი ქალაქი³

	ქალაქი	ვიზიტორთა მიერ დახარჯული თანხა (მილიარდი აშშ დოლარი)
1	ლონდონი	17,45
2	პარიზი	13,05
3	პალმა-დე-მალიორკა	11,95
4	სანტა-კრუს-დე-ლა-პალმა	8,43
5	სტამბოლი	6,75
6	ბარსელონა	6,55
7	ანტალია	5,94
8	მადრიდი	4,38
9	ამსტერდამი	3,77
10	ბერლინი	3,25

გადასვლა დავალების: [პირველ გვერდზე](#); [მეორე გვერდზე](#); [მესამე გვერდზე](#); [კითხვებზე](#)

³ Mastercard Global Destination Citis Index





➤ რუკის ანალიზი - დავალება # 29

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით მოცემულ ტოპოგრაფიულ რუკას და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილზე. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

29. (5 ქ.) თანდართული ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

29.1. ქვემოთ მოცემული რომელი პროფილი შეესაბამება AB მონაკვეთს?



29.2. რომელი მთა მდებარეობს მ. ზარეთიდან დაახლოებით 135⁰ აზიმუტით?

- ა) მ. ლივადი;
- ბ) მ. იაილა;
- გ) მ. ელიბაზა;
- დ) მ. იმერა.

29.3. დაახლოებით რამდენია მ. ლივადის აბსოლუტური სიმაღლე?

- ა) 1735 მ.
- ბ) 1745 მ.
- გ) 1755 მ.
- დ) 1765 მ.

29.4. ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით, დაახლოებით რამდენი კვ.კმ-ია ზარეთის ტბის სარკის ფართობი?

- ა) 1-დან 2-მდე;
- ბ) 2-დან 3-მდე;
- გ) 3-დან 4-მდე;
- დ) 4-დან 5-მდე.

29.5. (1 ქ.) ახსენით გამდინარეა თუ გაუმდინარი ზარეთის ტბა.